

საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია
ეთიკის კომისია
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა
საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის სახელით
დისციპლინური სახდელის დაკისრების თაობაზე

მეორე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

თორნიკე ბაქრაძე - კოლეგიის თავმჯდომარე

მარიკა არევაძე - კოლეგიის წევრი

ცისმარი ონიანი - კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი: ლ. ს.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 13.03.2020

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: 030/20

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ გ. მ.-ის მიმართ / სიითი №/

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ გ. მ.-ის მიმართ „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება.

I აღწერილობითი ნაწილი

1. საჩივრის ავტორის პოზიცია:

1.1 2020 წლის 13 მარტს „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა ლ. ს.-მა და მოითხოვა ადვოკატ გ. მ.-ისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება. 2020 წლის 17 სექტემბერს საპროცესო კოლეგიის სხდომაზე ლ. ს.-მა წარმოადგინა ზეპირი ახსნა-განმარტება.

1.2 საჩივრის მიხედვით, ი. „დ. ---“-ის თავმჯდომარემ ნ. გ.-მ მიითვისა მის სახელზე გამოყოფილი ფართები და აღნიშნულ საკითხზე საჩივრის ავტორმა ლ. ს.-მა საადვოკატო მომსახურების

მიღების მიზნით, მიმართა ადვოკატ გ. -2017 წლის 10 ნოემბერს მხარეთა შორის გაფორმდა საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც, იურიდიული მომსახურება ი. „დ. ---“-ის საქმესთან დაკავშირებით მოიცავდა როგორც სისხლის სამართლის მიმართულებით, აგრეთვე, სამოქალაქო მიმართულებით საქმისწარმოებას. ადვოკატმა ჰონორარის სახით მიიღო 2500 ლარი. ამავე წლის 22 ნოემბერს ლ. ს.-მა ადვოკატის სახელზე გასცა უვადო მინდობილობა.

1.3 2018 წლის 03 იანვარს ადვოკატმა გ. მ.-მ, როგორც ლ. ს.-ის წარმომადგენელმა თბილისის საქალაქო სასამართლოს მიმართა სარჩელით ი. „დ. ---“-ის დამფუძნებელთა: ნ. გ.-ს, რ. გ.-ის, გ. ხ.-ის, კ. მ.-ის, ს. ა.-ის მიმართ. სასარჩელო მოთხოვნა: ვალდებულების შეუსრულებლობით მიყენებული ზიანის ანაზღაურების მიზნით მოპასუხეთათვის 550 500 ლარის და ქონების შეფასების დასკვნაში გადახდილი 200 ლარის დაკისრება.

1.4 2018 წლის 20 დეკემბერს, თბილისის საქალაქო სასამართლოში, ზემოაღნიშნული სამოქალაქო საქმის N2-54-18 მთავარ სხდომას ესწრებოდა ლ. ს.. მოცემულ სხდომაზე ადვოკატმა გ. მ.-მ იშუამდგომლა სხდომის გადადების თაობაზე გარკვეული ფაქტობრივი გარემოებების დაზუსტებისათვის, რაც სასამართლომ დააკმაყოფილა.

1.5 2019 წლის 05 თებერვალს გ. მ. სასამართლო სხდომის მდივანმა გააფრთხილა ამავე წლის 28 თებერვალს 14:00 სთ.ზე მთავარი სხდომის დანიშვნის თაობაზე, თუმცა ადვოკატმა აღნიშნულის თაობაზე არ აცნობა საჩივრის ავტორს. მოცემული სხდომა გადაიდო სხვა დროისათვის, თუმცა არც აღნიშნულის თაობაზე მიუწოდებია ინფორმაცია ადვოკატს ლ. ს.-ისათვის.

1.6 2019 წლის 20 თებერვალს ადვოკატმა გ. მ.-მ მასთან შეუთანხმებლად თბილისის საქალაქო სასამართლოს წარუდგინა განცხადება საქმეზე N2-54-18 სარჩელის განუხილველად დატოვების მოთხოვნით.

1.7 საჩივრის ავტორის განცხადებით, საქმეზე N2-54-18 2019 წლის 27 მარტს ჩატარდა სასამართლო სხდომა, რომლის თაობაზეც ადვოკატს არ შეუტყობინებია. მოცემულ სხდომაზე, ლ. ს.-თან შეუთანხმებლად, გ. მ.-მ განმარტა, რომ ითხოვდა ნ. გ.-ს მიმართ წარდგენილი სარჩელის განუხილველად დატოვებას და დანარჩენ დამფუძნებელთა მიმართ უარს ამბობდა სარჩელზე. სასამართლოს განჩინებით, დაკმაყოფილდა ადვოკატ გ. მ.-ის მოთხოვნა ნ. გ.-ს მიმართ სარჩელის გახმობის თაობაზე. ამავე დროს, ადვოკატმა ხელწერილით დაადასტურა, რომ აღნიშნულის თაობაზე განჩინებას არ ასაჩივრებდა.

1.8 2019 წლის 29 მარტს ადვოკატმა გ. მ.-მ საჩივრის ავტორთან შეუთანხმებლად, თბილისის საქალაქო სასამართლოს მიმართა განცხადებით, რომ თითქოსდა ლ. ს.-ს არ ჰქონდა პრეტენზია დანარჩენ მოპასუხეთა: ი. „დ. ---“-ის დამფუძნებელთა: რ. გ.-ის, გ. ხ.-ის, კ. მ.-ის, გ. ლ.-ის, დ. ჩ.-ის, ს. ა.-ის მიმართ. განცხადებაში ადვოკატმა მიუთითა, რომ აღნიშნულთან დაკავშირებით მან კონსულტაცია გაიარა ლ. ს.-თან, რასაც საჩივრის ავტორის განცხადებით, არ ჰქონია ადგილი.

1.9 2019 წლის 17 აპრილს თბილისის საქალაქო სასამართლოს სხდომის მდივნის მიერ ადვოკატი გ. მ. გაფრთხილებულ იქნა, რომ ამავე წლის 03 მაისს 14:00 სთ.ზე ლ. ს.-ის საქმესთან დაკავშირებით, გაიმართებოდა მთავარი სხდომა. საჩივრის ავტორის განცხადებით, ადვოკატმა გ. მ.-მ მას

განუცხადა, რომ სასამართლო სხდომა 03 მაისს 16:00 სთ.ზე იყო დანიშნული. საჩივრის ავტორი გამოცხადდა აღნიშნულ დროს სასამართლო შენობაში, თუმცა ადვოკატი იქ არ დახვდა.

- 1.10 ლ. ს.-მა სასამართლო პროცესის 14:00 სთ.ზე გამართვის თაობაზე შეიტყო სასამართლოს მანდატურისგან, რის შემდეგაც მან საჩივრით მიმართა სასამართლოს თავმჯდომარეს, რადგან არ იცოდა ვის სახელზე უნდა დაეწერა საჩივარი.
- 1.11 ვინაიდან, 2019 წლის 03 მაისს გამართულ სხდომაზე არ იყო გამოცხადებული ლ. ს. და ადვოკატი გ. მ., მოპასუხე მხარის წარმომადგენლის შუამდგომლობით სასამართლომ მიიღო სარჩელის დაკმაყოფილების უარის თქმის შესახებ დაუსწრებელი გადაწყვეტილება. შედეგად, ამავე სხდომაზე მიღებული განჩინებით გაუქმდა მოწინააღმდეგე მხარეთა უძრავ ქონებებზე (თბილისი, --- მდებარე საცხოვრებელი ფართები საკ.კოდი ---; ---, --- და ნ. გ.-ს სახელზე რიცხული საცხოვრებელი სახლი საკ.კოდი ---) არსებული უზრუნველყოფის ღონისძიება.
- 1.12 2019 წლის 17 აპრილს თბილისის საქალაქო სასამართლოს სხდომის მდივნის მიერ ადვოკატი გ. მ. გაფრთხილებულ იქნა ამავე წლის 30 მაისს 12 სთ.ზე ლ. ს.-ის საქმესთან დაკავშირებით დანიშნული სხდომის თაობაზე, რის შესახებაც არ შეატყობინა საჩივრის ავტორს.
- 1.13 ადვოკატი გ. მ. გამოცხადდა თბილისის საქალაქო სასამართლოში, 2019 წლის 30 მაისის სხდომაზე, რაც ეხებოდა საჩივრის განხილვას დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე. ამავე სხდომაზე, სასამართლოს მიერ გამოტანილი განჩინებით არ დაკმაყოფილდა ლ. ს.-ის საჩივარი და ძალაში დარჩა სასამართლოს მიერ მიღებული დაუსწრებელი გადაწყვეტილება, რომლის გასაჩივრებაზე უარი ადვოკატმა გ. მ.-მ ხელწერილით დაადასტურა ლ. ს.-თან შეუთანხმებლად.
- 1.14 ადვოკატმა გ. მ.-მ 2018 წლის 15 ივნისს ნ. გ.-სა და ამხანაგობა „ა.-ს“ შორის დადებული შეთანხმების საფუძველზე ლ. ს.-სთვის გადასაცემად „ა.-სგან“ მიიღო 1000 აშშ დოლარი, თუმცა ადვოკატმა აღნიშნული თანხა საჩივრის ავტორს არ გადასცა და არც თანხის მიღების თაობაზე შეატყობინა მას. საჩივრის ავტორის განცხადებით, მან აღნიშნულის თაობაზე შემთხვევით, მის საქმესთან დაკავშირებით, გამომძიებელთან ყოფნის დროს შეიტყო, როდესაც საქმის მასალებს ეცნობოდა, რის შემდეგაც დაუკავშირდა ადვოკატ გ. მ.-ს, რომელმაც დაუდასტურა რომ შეთანხმებაზე ხელი მოაწერა, თუმცა თანხის - 1000 აშშ დოლარის მიღება უარყო.
- 1.15 საჩივრის ავტორის განცხადებით, „ა.-ის“ წარმომადგენელმა მას განუცხადა, რომ ვინაიდან, თანხის მიღებისას გაურკვევლობა წარმოიშვა, ის შეწყვეტდა თანხების გაცემას.
- 1.16 2019 წლის 26 ივნისს ადვოკატმა გ. მ.-მ, როგორც ი. „დ. ---“-ის თავმჯდომარის ნ. გ.-ს ინტერესების დამცველმა მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს სარჩელით ამხანაგობა „ა.-ის“ დამფუძნებელი წევრის დ. ტ.-ის მიმართ, რომლისგანაც, როგორც ბრალდებულ ნ. გ.-ს დაზარალებული ლ. ს.-ის წარმომადგენელმა გ. მ.-მ მიიღო თანხა.
- 1.17 საჩივრის ავტორის განცხადებით, მან შემთხვევით შეიტყო მისი მოწინააღმდეგე მხარის - ნ. გ.-ს სასარგებლოდ ადვოკატის საქმეში ჩართვის თაობაზე და 2019 წლის 22 ივლისს გააუქმა ადვოკატ გ. მ.-ის სახელზე გაცემული მინდობილობა.

- 1.18 საჩივრის მიხედვით, 2019 წლის 18 ივნისის განაჩენით N1.4097-18 ნ. გ. ცნობილ იქნა დამნაშავედ სისხლის სამართლის საქმეზე ლ. ს.-ის ეპიზოდში და სასამართლომ ლ. ს. ცნო დაზარალებულად და დადგინდა, რომ მას ნ. გ.-ს მართლსაწინააღმდეგო ქმედებით მიაღვა 303 000 ლარის ზიანი.
- 1.19 საჩივრის ავტორის განცხადებით, ადვოკატ გ. მ.-ის მიერ მისი სამოქალაქო საქმეზე განუხორციელებული მოქმედებების შედეგად მას მიაღვა 247500 ლარის და 3000 (სახელმწიფო ბაჟის თანხა) და 2500 ლარის (გადახდილი საადვოკატო მომსახურების ჰონორარი) მატერიალური და მორალური ზიანი.
- 1.20 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატ გ. მ.-ს არ გამოუწერია ორდერი და არ მიუღია მონაწილეობა მისი ინტერესების სასარგებლოდ სისხლის სამართლის საქმეში, როგორც ამას ადვოკატი უთითებს.
- 1.21 ლ. ს.-ის განცხადებით, არც მას და არც მის შვილს შ. მ.-ს არ მიუღია ადვოკატ გ. მ.-სგან გადახდილი სახელმწიფო ბაჟის თანხა 3000 ლარი, როგორც ამას ადვოკატი უთითებს.

2. ადვოკატის პოზიცია:

- 2.1 ადვოკატმა გ. მ.-მ 2020 წლის 17 მარტს წარმოადგინა წერილობითი განმარტება და 17 სექტემბერს საპროცესო კოლეგიის სხდომაზე - ზეპირი ახსნა-განმარტება. ადვოკატის განცხადებით, ლ. ს.-თან 2017 წლის 10 ნოემბერს გაფორმებული საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულებით მას ევალებოდა სისხლის სამართლის საქმეზე დოკუმენტების მოძიება, განცხადების მომზადება, მონაწილეობა საგამომიებო ორგანოებში, რაც მისი მხრიდან კეთილსინდისიერად შესრულდა. ადვოკატის განცხადებით, მან პირველმა წარადგინა მოცულობითი საჩივარი თანდართული დოკუმენტებით ნ. გ.-ს მიმართ, რის საფუძველზეც აღიძრა სისხლის სამართლის დევნა ნ. გ.-ს მიმართ, ყადაღა დაედო მის მიერ გასხვისებულ სამივე ფართს, რომლებიც ხელშეკრულების თანახმად, უნდა გადაცემოდა ლ. ს.-ს. პროკურატურას ნ. გ.-ს მიმართ შემდგომში მიმართეს სხვა დაზარალებულებმაც და შედეგად, გაერთიანდა საქმეები. ნ. გ.-ს მიმართ დადგა გამამტყუნებელი განაჩენი.
- 2.2 ადვოკატის განცხადებით, ის არ ეთანხმება საჩივრის ავტორს, რომ მის სახელზე გადასაცემი ფართები შეფასებული იყო 550 000 ლარად, ხოლო სასამართლომ ლ. ს.-ისათვის მიყენებული ზიანი შეაფასა 303 000 ლარად და ამის გამო მიაღვა მატერიალური ზიანი, რადგან, მოქმედი სისხლის სამართლის კანონმდებლობა არ ითვალისწინებს ზიანის ანაზღაურებას და განაჩენით მსჯავრდებულისათვის ასანაზღაურებელი თანხის დაკისრებას; სასამართლოს მიერ დაანგარიშებულ იქნა ორი ფართის ღირებულება; მესამე ფართის მესაკუთრეს იმ დროისათვის წარმოადგენდა ნ. გ. და განაჩენით აღნიშნული ჩამოერთმეოდა ამ უკანასკნელს და შესაბამისად, როგორც დანაშაულებრივი გზით შეძენილი ქონება უნდა გადასცემოდა ლ. ს.-ს.
- 2.3 ადვოკატის განცხადებით, ლ. ს.-ს უფლება აქვს იდავოს სამოქალაქო წესით ზიანის ანაზღაურებაზე ნ. გ.-ს მიმართ, რომელიც დამნაშავედ იქნა ცნობილი მისი ქონების თაღლითური გზით მითვისებაში.

- 2.4 ადვოკატის განმარტებით, რაც შეეხება სამოქალაქო საქმისწარმოებას, მან სარჩელი მოამზადა და წარუდგინა თბილისის საქალაქო სასამართლოს, როგორც ლ. ს.-ის წარმომადგენელმა ნ. გ.-სა და ამხანაგობა „ა.-ის“ სხვა დამფუძნებელი წევრების წინააღმდეგ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით. ამასთან, სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით, ადვოკატმა მოითხოვა მოდავე მხარეთა კუთვნილი სამი ფართის დაყადაღება, მათ შორის ნ. გ.-ს სახელზე რიცხული ერთადერთი ფართის გასხვისების აკრძალვა, რაც სასამართლომ დააკმაყოფილა, თუმცა ადვოკატის მიერ საჯარო რეესტრში მისვლის შემდგომ აღმოჩნდა, რომ ორი ფართი გასხვისებული იყო („მევახშეების სახელზე“, შემდგომ რომ ისევ შეძლებოდათ უკან გადაფორმება) და მინიჭებული ჰქონდა სხვა საკადასტრო კოდები, შესაბამისად, ყადაღის რეგისტრაცია მხოლოდ ნ. გ.-ს სახელზე არსებულ ფართზე განხორციელდა. ადვოკატის განცხადებით, ამჟამად აღნიშნული ფართი ლ. ს.-ის მფლობელობაშია, თუმცა მის საკუთრებაში არის თუ არა არ იცის. ადვოკატის განმარტებით, ნ. გ.-მაც განუმარტა ლ. ს.-ს, რომ გადაეფორმებინა აღნიშნული ფართი მის სახელზე, თუმცა მან უთხრა „არა, ეს ბინა ისედაც ჩემიაო“.
- 2.5 ადვოკატის განმარტებით, საჯარო რეესტრის მონაცემებით მისთვის მანამდე ცნობილი იყო, რომ არ იყო გასხვისებული ზემოაღნიშნული ფართები, ამასთან, მას დრო არ ჰქონდა საჯარო რეესტრის „ყველა განახლებული ინფორმაცია გამოეთხოვა“ და დაეზუსტებინა, სანამ სასამართლოს მიმართავდა უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების თაობაზე.
- 2.6 ადვოკატის განმარტებით, ის არ ეთანხმება მომჩივანის პოზიციას იმის თაობაზე, რომ თითქოს მის საზიანოდ და მასთან შეუთანხმებლად იღებდა გადაწყვეტილებებს სარჩელის სასამართლოში განხილვის დროს. ადვოკატის განცხადებით, მიუხედავად იმისა, რომ მას ჰქონდა რწმუნებულებით მინიჭებული უფლება ემოქმედა ლ. ს.-ის სახელით, ის მაინც ყველა საკვანძო საკითხს უთანხმებდა მას. ადვოკატის განმარტებით, ვინაიდან, ლ. ს. არის მისი მეგობრის უახლოესი ნათესავი, ის ცდილობდა ზედმეტად არ შეეწუხებინა და ამ საკითხების შესათანხმებლად მასთან ან მეგობრის სახლში მიდიოდა.
- 2.7 ადვოკატის განცხადებით, როდესაც ის დარწმუნდა, რომ ამხანაგობა „ა.-ის“ დანარჩენი წევრები არ იყვნენ კავშირში ნ. გ.-ს მიერ ჩადენილ დანაშაულთან (რაც დადასტურდა სისხლის სამართლის საქმის განხილვის დროს) და ამასთან, აღნიშნულ წევრებს არ გააჩნდათ ქონება, საიდანაც უნდა მომხდარიყო ლ. ს.-ის სასარგებლოდ დადგენილი მოსალოდნელი გადაწყვეტილების აღსრულება, ადვოკატმა ლ. ს.-ს ურჩია, რომ გამოეთხოვათ სარჩელი, რითაც სახელმწიფო ბაჟის (3000 ლარის) დაბრუნებას შეძლებდნენ და ნ. გ.-ს მიმართ განაჩენის დადგენის შემდეგ უკვე მის წინააღმდეგ შეიტანდნენ იგივე მოთხოვნით სარჩელს, რაზედაც ლ. ს. იყო თანახმა.
- 2.8 2019 წლის 03 მაისს 14:00 სთ.ზე თბილისის საქალაქო სასამართლოში ლ. ს.-ის საქმეზე დანიშნულ სხდომასთან დაკავშირებით, ადვოკატი განმარტავს, რომ მოცემულ სხდომაზე მას დანარჩენი ამხანაგობის წევრების მიმართ უნდა გაეხმო სარჩელი, რადგანაც ნ. გ.-ს ნაწილში სარჩელი წინა სხდომაზე გაიხმო. ადვოკატის განმარტებით, მოცემულ სასამართლო სხდომის თარიღთან დაკავშირებით მოხდა გაუგებრობა. კერძოდ, ადვოკატი გ. მ. დაუკავშირდა მოპასუხეთა ინტერესების დამცველ ადვოკატს - ი. ნ.-ს, რომელმაც 14:00 სთ.-ის ნაცვლად უთხრა, რომ სხდომა 16:00 სთ.ზე იყო ჩანიშნული, ამასთან, ადვოკატი ესაუბრა მოპასუხეთა სხვა ადვოკატს ლ. ჯ.-საც,

რომელმაც უთხრა, რომ სხდომა 12:00 სთ.ზე გაიმართებოდა. ადვოკატმა ლ. ს.-ს მიაწოდა ინფორმაცია რომ 16:00 სთ.ზე ჩატარდებოდა სხდომა. ორივე ადვოკატმა გ. მ. შეცდომაში შეიყვანა, მან ვერ შეძლო სხდომაზე ზუსტ დროს გამოცხადება და შედეგად, სასამართლომ მიიღო დაუსწრებელი გადაწყვეტილება, შესაბამისად, სახელმწიფო ბაჟის დაბრუნებაც ვერ მოხერხდა.

2.9 ადვოკატის განმარტებით, მის ინტერესს არ წარმოადგენდა სხდომაზე გამოუცხადებლობა. თუმცა ვინაიდან, საქმეზე დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა მისი მიზეზის გამო მოხდა, მან პირადი თანხა - 3000 ლარი (გადახდილი სახელმწიფო ბაჟის თანხა) დაუბრუნა ლ. ს.-ის შვილს - შ. მ.-ს, რომელსაც მასთან რაიმე პრეტენზია საქმესთან დაკავშირებით არ განუცხადებია. ამასთან, ნ. გ.-ს მიმართ სარჩელი იყო გახმობილი და შესაბამისად, ლ. ს.-ს კვლავ შეეძლო მისი წარდგენა.

2.10 ადვოკატის განმარტებით, ის ამხანაგობა „ა.-ის“ თავმჯდომარეს დ. ტ.-სა და ნ. გ.-ს წერილობით შეუთანხმდა, რომ დ. ტ.-ს შეესრულებინა თავისი ვალდებულება ნ. გ.-ს მიმართ და გადაეცა 28 000 აშშ დოლარი, საიდანაც 25 000 აშშ დოლარი მოხმარდებოდა ლ. ს.-სთვის გადასაცემი ფართის იპოთეკისგან გათავისუფლებას, ხოლო დანარჩენი დარჩებოდა ნ. გ.-ს. ადვოკატმა გ. მ.-მ ამ თანხების გადაცემის მიზნით, შეადგინა გრაფიკი, თუმცა დ. ტ. აჭიანურებდა ვალდებულების შესრულების დაწყებას. ადვოკატის განმარტებით, საბოლოოდ, დ. ტ.-მ 1000 აშშ დოლარი გადასცა ნ. გ.-ს ინტერესების დამცველ ადვოკატს, რის შემდეგაც ადვოკატმა გ. მ.-მ შედგენილ გრაფიკში ასახა 1000 აშშ დოლარი, თუმცა ნ. გ.-ს ადვოკატმა 1000 აშშ დოლარი თავად დაიტოვა და განაცხადა, რომ ნ. გ.-ს მისი ვალი ჰქონდა და ეს თანხა მას უნდა მიეღო. აღნიშნულის თაობაზე ნ. გ.-ს პრეტენზია არ გამოუთქვამს და არც დ. ტ.-ს გადაუხდია შემდგომ დამატებით რაიმე თანხა.

2.11 ადვოკატის განცხადებით, ზემოაღნიშნული შეთანხმება არ ითვალისწინებდა თანხის ლ. ს.-ზე გადაცემას, არამედ მისთვის გადასაცემი ფართის იპოთეკური ვალდებულებებისგან დახსნას, რის თაობაზეც ლ. ს. იყო ინფორმირებული.

2.12 ადვოკატის განცხადებით, შემდგომში, ნ. გ.-მ უარი განაცხადა მისი კუთვნილი თანხით ლ. ს.-ზე გადასაცემი საცხოვრებელი ფართის იპოთეკიგან გათავისუფლებაზე, რადგანაც ლ. ს.-მა სისხლის სამართლის საქმის წარმოებისას, ნ. გ.-ს პროცესზე მიაყენა სიტყვიერი და ფიზიკური შეუარცხყოფა.

2.13 2019 წლის 30 მაისს ჩატარებული სასამართლო სხდომის შემდგომ ლ. ს.-ს აღარ სურდა საადვოკატო მომსახურების მიღება. ადვოკატმა საჩივრის ავტორის შვილს - შ. მ.-ს განუმარტა, რომ ლ. ს.-ს შეეძლო მის სახელზე გაცემული მინდობილობის გაუქმება.

2.14 ადვოკატის განცხადებით, ის არ ეთანხმება იმ გარემოებას, რომ ერთდროულად წარმოადგენდა როგორც ლ. ს.-ს, აგრეთვე, ნ. გ.-ს ინტერესებს, რადგან ნ. გ.-ს სარჩელის წარდგენა ამხანაგობა „ა.-ის“ წინააღმდეგ მოხდა ლ. ს.-თან ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობის შეწყვეტის შემდგომ და ამასთან, საკითხი ეხებოდა სულ სხვა დავას. ადვოკატის განცხადებით, მასსა და ნ. გ.-ს შორის საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულება არ გაფორმებულა, რაც შეეხება მინდობილობას ის ნ. გ.-მ „ერთი წლით ადრე მისცა და ეს რწმუნებულება გამოიყენა“ მისი ინტერესების სასამართლოში დაცვის მიზნით.

3. დისციპლინური დევნის აღმშრელი საპროცესო კოლეგიის პოზიცია:

3.1 2020 წლის 25 დეკემბერს მეოთხე დისციპლინურმა კოლეგიამ მიიღო გადაწყვეტილება ადვოკატ გ. მ.-ის მიმართ დისციპლინური დევნის აღმშრის თაობაზე „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მუხლი 5(ა), 6.2 ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მუხლების: 8.1, 8.2, 8.5 8.13, 8.15. შესაძლო დარღვევის საფუძველზე.

II სამოტივაციო ნაწილი

4. საქმის ფაქტები:

4.1 განხილვის კოლეგიის მიერ დადგენილია შემდეგი უდავო ფაქტები:

- 4.1.1 ადვოკატი გ. მ. 2017 წლის ნოემბრის თვიდან წარმოადგენდა ლ. ს.-ის ინტერესებს.
- 4.1.2 იურიდიული მომსახურების ხელშეკრულების მიხედვით, მას უნდა გაეწია საადვოკატო მომსახურება, როგორც სისხლის სამართლის საქმეზე, აგრეთვე, სამოქალაქო საქმეზე.
- 4.1.3 ადვოკატმა გ. მ.-მ ჰონორარის სახით მიიღო 2500 ლარი.
- 4.1.4 ადვოკატმა გ. მ.-მ ლ. ს.-ის სახელით მიმართა სარჩელით თბილისის საქალაქო სასამართლოს „დ --“-ის თავმჯდომარის ნ. გ.-ს და სხვა დამფუძნებელთა მიმართ.
- 4.1.5 ადვოკატმა გ. მ.-მ 2019 წლის 27 მარტს სასამართლო სხდომაზე იშუამდგომლა ნ. გ.-ს მიმართ სარჩელის განუხილველად დატოვების თაობაზე, დანარჩენ მოპასუხეთა მიმართ წარდგენილ სარჩელზე განაცხადა უარი.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებას:

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 27 მარტის განჩინება საქმეზე N --

4.1.6 მოსამართლემ ადვოკატ გ. მ.-ს განუმარტა რომ მოპასუხეთა მიმართ წარდგენილ სარჩელზე უარის თქმის უფლება მას ლ. ს.-ის მიერ გაცემული მინდობილობით არ ჰქონდა.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებას:

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 27 მარტის სხდომის ოქმი

4.1.7 ადვოკატმა გ. მ.-მ ლ. ს.-ს აცნობა, რომ 2019 წლის 03 მაისს დანიშნული სასამართლო სხდომა 16:00 სთ.ზე გაიმართებოდა.

4.1.8 თბილისის საქალაქო სასამართლოში ლ. ს.-ის საქმეზე 2019 წლის 03 მაისის სხდომა გაიმართა 14:00 სთ.ზე, რომელზეც ადვოკატი გ. მ. და ლ. ს. არ ესწრებოდნენ, რის შედეგადაც, სასამართლომ მიიღო დაუსწრებელი გადაწყვეტილება.

4.1.9 2019 წლის 03 მაისის თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ მიღებული დაუსწრებელი გადაწყვეტილება ადვოკატმა გ. მ.-მ გაასაჩივრა ამავე წლის 14 მაისს.

4.1.10 სასამართლომ სხდომაზე გამოაქვეყნა აუდიო ჩანაწერი, რომლის მიხედვით, ადვოკატ გ. მ.-ს სასამართლოს თანამშრომელმა აცნობა 2019 წლის 03 მაისს 14:00 სთ.ზე დანიშნული სხდომის შესახებ.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებას:

2019 წლის 30 მაისის სხდომის ოქმი, საქმე საქმე 2/54-18

4.1.11 თბილისის საქალაქო სასამართლომ არ დააკმაყოფილა ადვოკატ გ. მ.-ის საჩივარი და ძალაში დარჩა დაუსწრებელი გადაწყვეტილება.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებას:

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 30 მაისის სხდომის ოქმი, საქმე 2/54-18

4.1.12 თბილისის საქალაქო სასამართლოს განჩინებით გაუქმდა ლ. ს.-ის სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებები - არსებული ყადაღა: ი. ,,დ. ---“-ის და მისი თავმჯდომარის ნ. გ.-ს კუთვნილი უძრავ ქონებებზე.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებას:

2019 წლის 03 მაისის თბილისის საქალაქო სასამართლოს განჩინება.

4.1.13 ამხანაგობა „ა.-ს“ ლ. ს.-ის სასარგებლოდ, დადებული შეთანხმების საფუძველზე 2018 წლის 14 ნოემბერს გადახდილი აქვს 1000 აშშ დოლარი. გრაფიკს ხელს აწერენ „ა.-ის“ თავმჯდომარე დ. ტ. და ადვოკატი გ. მ..

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებას:

ხელწერილი 14.11.2018

4.1.14 2019 წლის 22 ივლისს ლ. ს.-მა ადვოკატ გ. მ.-ზე გაცემული მინდობილობა გააუქმა.

4.1.15 ადვოკატმა გ. მ.-მ, როგორც ნ. გ.-ს წარმომადგენელმა თბილისის საქალაქო სასამართლოს მიმართა სარჩელით 2019 წლის 26 ივნისს ამხანაგობა „ა.-ის“ დამფუძნებელთა წინააღმდეგ, მათ შორის დ. ტ.-ის მიმართ. დავის საგანს წარმოადგენდა ვალდებულების შეუსრულებლობით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება.

4.2 სადავო ფაქტები:

4.2.1 მხარეთა შორის სადავოა, ადვოკატმა ლ. ს.-თან შეთანხმებით გაიხმო თუ არა მოპასუხეთა მიმართ სარჩელი და უარი განაცხადა დანარჩენ მოპასუხეთა მიმართ წარდგენილ სარჩელზე.

4.2.2 მოცემულ შემთხვევაში, გარდა ადვოკატის განმარტებისა არ არის სარწმუნო მტკიცებულება, რომელიც მიუთითებდა, რომ ლ. ს.-ის ინტერესს წარმოადგენდა სარჩელის გახმობა ერთ მოპასუხის მიმართ, ხოლო დანარჩენების მიმართ უარის თქმა. ადვოკატის სახელზე გაცემული მინდობილობით ადვოკატს არც ჰქონდა მინიჭებული უფლებამოსილება უარი ეთქვა სარჩელზე,

რაზეც ადვოკატს სასამართლო სხდომაზე მოსამართლემაც მიუთითა (იხ. სხდომის ოქმი 27.03.2019), თუმცა მინდობილობით ადვოკატისათვის მინიჭებული უფლებამოსილებაც მას არ ათავისუფლებს პროფესიული პასუხისმგებლობისგან, კონკრეტულ საქმეზე სასამართლოდან სარჩელი გაიხმოს ან უარი თქვას მასზე კლიენტის კონკრეტული მითითების გარეშე. საქმეში არ არის წარმოდგენილი მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა ადვოკატის პოზიციას, რომ ლ. ს.-სგან მიღებული ინფორმირებული თანხმობით განახორციელა აღნიშნული მოქმედებები.

4.2.3 მხარეთა შორის აგრეთვე სადავოა ლ. ს.-ის საქმესთან დაკავშირებით არსებული თანხის ადვოკატის მიერ მიღების ფაქტი. კერძოდ, საჩივრის მიხედვით, 28 000 აშშ დოლარზე გაფორმებული „შეთანხმებიდან“ გამომდინარე 1000 აშშ დოლარი „ა.-სგან“ მიიღო ადვოკატმა გ. მ.-მ. ადვოკატი აღნიშნულს უარყოფს. ადვოკატის განმარტებით, „ა.-ის“ თავმჯდომარისგან დ. ტ.-ისგან 1000 აშშ დოლარი მიიღო არა მან, არამედ, ნ. გ.-ს ინტერესების დამცველმა ადვოკატმა. (იხ.პუნქტი 2.10).

4.2.4 შედეგად, ადვოკატი ადასტურებს, რომ მან ასახა „გადახდის გრაფიკში“ 1000 აშშ დოლარის „ა.-სგან“ მიღების ფაქტი, თუმცა უშულოდ თანხის მიღებას უარყოფს. კოლეგია აღნიშნავს, რომ მოცემულ შემთხვევაში, არ არის სადაო „გადახდის გრაფიკში“ ასახული თანხის მიზნობრიობა. კერძოდ, დგინდება, რომ თანხა უნდა მოხმარებოდა ლ. ს.-ისთვის გადასაცემი ფართის იპოთეკისგან გათავისუფლებას. ადვოკატის მიერ „ა.-თან“ და ნ. გ.-სთან დადებული წერილობით შეთანხმებაში მითითებულია შემდეგი: „...შეთანხმებული გრაფიკის მიხედვით, დაზარალებული ლ. ს.-ის წარმომადგენელმა გ. მ.-მ მივიღე 1000 აშშ დოლარი. შედეგად, არ დასტურდება ადვოკატის პოზიცია იმის თაობაზე, რომ სადავო თანხა 1000 აშშ დოლარი მიიღო არა უშუალოდ ადვოკატმა გ. მ.-მ, არამედ სხვა პიროვნებამ, როგორც ამას უთითებს ადვოკატი. ზემოაღნიშნული ხელწერილისა და „გადახდის გრაფიკის“ შინაარსი ადასტურდება, რომ თანხა უშუალოდ მიიღო ადვოკატმა გ. მ.-მ.

5. შემაჯამებელი დასკვნა

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის განხილვის კოლეგია გაეცნო საქმის მასალებს, მოისმინა მხარის ახსნა-განმარტება და დაადგინა, რომ ადვოკატ გ. მ.-ის მიერ ჩადენილია დისციპლინური გადაცდომა.

6. სამართლებრივი შეფასება:

6.1 განხილვის კოლეგიამ დაადგინა, რომ ადვოკატმა საჩივრის ავტორთან შეუთანხმებლად გაიხმო ერთი მოპასუხის მიმართ წარდგენილი სარჩელი და დანარჩენ მოპასუხეთა მიმართ უარი თქვა სარჩელზე. შესაბამისად, დარღვეული იქნება შემდეგი მუხლები:

ადვოკატი ვალდებულია კეთილსინდისიერად შეასრულოს პროფესიული ფუნქციები („ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 5(ა)).

ადვოკატმა ... კეთილსინდისიერად უნდა მისცეს რჩევა კლიენტს და განახორციელოს წარმომადგენლობა (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, მუხლი 8.5).

ადვოკატი ვალდებულია დროულად მიაწოდოს კლიენტს ყველა ინფორმაცია ... რომელიც დაკავშირებულია მისი საქმის წარმოებასთან (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 6.2).

ადვოკატმა საქმე უნდა აწარმოოს კლიენტის, მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის ან შესაბამისი ორგანოს მიერ დანიშნული კომპეტენტური პირის მითითებით...(ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, მუხლი 8.2)

- 6.2 კოლეგია იზიარებს დისციპლინური დევნის აღმძვრელი კოლეგიის მიერ მითითებულ პრაქტიკას, რომელიც ეხება კლიენტის ინფორმირებული თანხმობით საქმისწარმოების მნიშვნელობას, რაც კეთილსინდისიერების პრინციპის დაცვას უზრუნველყოფს. „ადვოკატმა კლიენტს უნდა მიაწოდოს საქმესთან დაკავშირებული ინფორმაცია და კავშირი ჰქონდეს მასთან საქმის წარმოების პროცესში, როდესაც ადვოკატის მიერ საქმესთან დაკავშირებით ხორციელდება საპროცესო მოქმედებები და საქმესთან დაკავშირებით არსებობს ახალი გარემოებები“. (ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება, დისციპლინური საქმე N022/10, 27.09.10)
- 6.3 „ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება უკავშირდება გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილების გადანაწილებას, კლიენტი ჩართულია საქმის მიმდინარეობის თაობაზე და აქვს შესაძლებლობა, გონივრულად მართოს საკუთარი ქმედებები. ადვოკატი ვალდებულია განუმარტოს კლიენტს საკითხები ზედმიწევნით, რაც კლიენტს მისცემს შესაძლებლობას, მიიღოს ინფორმირებული გადაწყვეტილებები.“ (ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება, დისციპლინური საქმე N092/11 პარ.7. 22.03.12).
- 6.4 ადვოკატის მიერ კლიენტის სახელით განხორციელებული მოქმედებები მესამე პირების მიერ განიხილება, როგორც კლიენტის ნების გამოხატულება და როგორც წესი, ეჭვქვეშ არ დგება ადვოკატის საიმედოობა და კეთილსინდისიერება (შეად. ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება, საქმე N057/10, 07.03.2011).
- 6.5 ადვოკატის/წარმომადგენლის მიერ კლიენტის სახელით განხორციელებული მოქმედებები სამართლებრივი ძალის მქონეა და ადვოკატმა უნდა იმოქმედოს კეთილსინდისიერად, კლიენტის ინტერესების გათვალისწინებით (ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება, საქმე N022/11, 30.05.2011).
- 6.6 განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ადვოკატის მიერ კლიენტის თანხმობის გარეშე გაკეთებულ განცხადებებს, რომლებიც კლიენტს უზღუდავს სასამართლოს გზით ინტერესების დაცვის საშუალებას (სარჩელზე უარის თქმა, საქმის წარმოების შეწყვეტის მოთხოვნა, და ა.შ) და საფრთხის ქვეშ აყენებს კლიენტის მოთხოვნის დაკმაყოფილებას (სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმების მოთხოვნა). „ადვოკატის მიერ კლიენტის ინტერესების საწინააღმდეგო ქმედებების განხორციელება შესაძლებელია შეფასდეს კლიენტის მიერ ადვოკატისათვის მინიჭებული მინდობილობის ბოროტად გამოყენებად და უარყოფითად აისახოს კლიენტსა და ადვოკატს შორის არსებულ ნდობაზე. (ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება, დისციპლინური საქმე 022/11. 30.05.11).
- 6.7 კოლეგია მიიჩნევს, რომ დასტურდება ადვოკატის მიერ 2019 წლის 27 მარტს სასამართლო სხდომაზე ლ. ს.-თან, როგორც მის კლიენტთან შეუთანხმებლად ნ. გ.-ს მიმართ სარჩელის განუხილველად დატოვების თაობაზე შუამდგომლობის დაყენება და დანარჩენ მოპასუხეთა მიმართ სარჩელზე უარის თქმა (იხ. განჩინება საქმეზე N--). როგორც აღინიშნა, ადვოკატის შუამდგომლობა დაკმაყოფილდა სარჩელის გახმობის ნაწილში, დანარჩენ მოპასუხეთა მიმართ

სარჩელზე უარის თქმა სასამართლომ არ დააკმაყოფილა, რადგან ადვოკატს მინდობილობით არ ჰქონდა უფლებამოსილება მინიჭებული ეშუამდგომლა მისი კლიენტის სახელით. კერძოდ, ოქმის მიხედვით, 15:14:11 ადვოკატმა განაცხადა: „უარს ვამბობ გ.-ს გარდა, დანარჩენი მოპასუხეების მიმართ უარს ვამბობ სარჩელზე და გამოვიხმობ მხოლოდ გ.-ს მიმართ სარჩელს“; მოსამართლემ განუმარტა, რომ მიღებაზე უარის შემთხვევაში, საქმის წარმოება შეწყდება, რასაც ადვოკატი გ. მ. დაეთანხმა. მოსამართლემ ადვოკატს მიუთითა, რომ ლ. ს.-ის მიერ გაცემული მინდობილობით არ ჰქონდა სარჩელზე უარის თქმის უფლება. მოსამართლე პასუხობს ადვოკატს: „არ გაქვთ სამწუხაროდ უარის თქმის უფლება მინდობილობით, ამიტომ თუ ახალს წარმომდგენთ და დამატებით მოგვმართავთ...“ (იხ.სხდომის ოქმი ---- საქმე N--).

- 6.8 კოლეგია განმარტავს, რომ ისეთი არსებითი საკითხების გადაწყვეტა, როგორცაა სარჩელის გახმობა ან/და მასზე უარის თქმა კლიენტთან შეთანხმებულად უნდა განხორციელდეს. აპეკ-ის 8.2 მუხლი უთითებს, რომ ადვოკატმა საქმე უნდა აწარმოოს კლიენტის მითითებით.
- 6.9 კოლეგია იზიარებს დისციპლინური დევნის აღმმრეელი კოლეგიის პოზიციას იმის თაობაზე, რომ მიუხედავად იმისა გაცემული რწმუნებულება მოიცავს თუ არა მარწმუნებლის სახელით არსებითი გადაწყვეტილებების მიღების უფლებამოსილებას, ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობის არსი და მიზანი წარმოადგენს კლიენტის მიერ სპეციალური ცოდნის მქონე ადამიანისადმი საქმის მინდობას და შესაბამისად, ადვოკატი უნდა იყოს საქმესთან დაკავშირებით კლიენტის მრჩეველი, რაც იმას ნიშნავს, რომ მასთან შეთანხმებულად, მისი ინტერესების გათვალისწინებით უზრუნველყოს კვალიფიციური წარმომადგენლობა.
- 6.10 ისეთი საპროცესო მოქმედებები როგორცაა სარჩელის გახმობა და მით უფრო უარის თქმა უნდა განხორციელდეს კლიენტთან შეთანხმებულად, რადგან მან უნდა მიიღოს საქმეზე არსებითი გადაწყვეტილებები. კლიენტთან შეუთანხმებლად ამგვარი მოქმედებით ადვოკატმა შესაძლოა გამოუსწორებელი ზიანი მიაყენოს კონკრეტული კლიენტის ინტერესებს, და რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, დააზიანოს ადვოკატის პროფესიისადმი საზოგადოების ნდობა.
- 6.11 ინფორმირების ვალდებულების დარღვევა აგრეთვე დგინდება 2019 წლის 03 მაისს დანიშნული სხდომის დროის შესახებ ლ. ს.-ისთვის არასწორი ინფორმაციის მიწოდებით.(იხ. პუნქტი: 4.1.10) ადვოკატი ადასტურებს ლ. ს.-ისთვის სხდომის არასწორი დროის შესახებ ინფორმაციის მიწოდებას, თუმცა განმარტავს, რომ ის თავად შეიყვანა შეცდომაში მოდავე მხარის ადვოკატებმა, რომლებმაც უთხრეს არასწორი დრო.
- 6.12 საქმის მასალებით დასტურდება, რომ 2019 წლის 30 მაისს თბილისის საქალაქო სასამართლოში გაიმართა სხდომა ამავე წლის 03 მაისის დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების თაობაზე ადვოკატ გ. მ.-ის ამავე წლის 14 მაისის საჩივრის განხილვის მიზნით. აღნიშნულ სხდომაზე სასამართლომ გამოაქვეყნა აუდიო ჩანაწერი, რომლის მიხედვით, დასტურდებოდა, რომ ადვოკატი ინფორმირებული იყო 2019 წლის 03 მაისს 14:00 სთ.ზე ჩანიშნული სხდომის შესახებ. ჩანაწერის მიხედვით, ადვოკატი სხდომის მდივანთან საუბრისას იმეორებს მითითებულ დროს - 14:00 სთ.ს დაზუსტების მიზნით.

- 6.13 კომისია იზიარებს დისციპლინური დევნის აღმძვრელი კოლეგიის მითითებას იმის თაობაზე, რომ კლიენტთან არასწორი კომუნიკაციით ირღვევა ადვოკატ-კლიენტს შორის არსებული ნდობა, რისი არსებობაც საადვოკატო საქმიანობის სრულყოფილად და კეთილსინდისიერად განხორციელების საფუძველია. ამასთან კლიენტს ეკარგება შესაძლებლობა მიიღოს ინფორმირებული გადაწყვეტილება მისი საქმის სამართლებრივი ბედის შესახებ.
- 6.14 შესაძლებელია, ადვოკატ გ. მ.-ს სასამართლოს მიერ მისი ინფორმირების მიუხედავად, კვლავ სჭირდებოდა სხდომის დაწყების დროის შეხსენება ან დაზუსტება, რაც საპატიო გარემოებაა, თუმცა აღნიშნული მას არა მოპასუხეთა ადვოკატებთან, არამედ სასამართლოსთან კომუნიკაციით ჰქონდა შესაძლებლობა დაეზუსტებინა, მით უფრო თუ ორმა ადვოკატმა სხდომის დროის შესახებ სხვადასხვა ინფორმაცია მიაწოდეს, ადვოკატს უნდა გაეცნობიერებინა მისი და კლიენტის სხდომაზე გამოუცხადებლობას რა სამართლებრივი შედეგები მოჰყვებოდა.
- 6.15 კოლეგია აღნიშნავს, რომ შესაძლოა, ადვოკატს სასამართლოსგან სწორი ინფორმირების მიუხედავად, მოდავე მხარის ადვოკატებისგან მიწოდებული ინფორმაციის დაყრდნობით მიიჩნია, რომ სხვა დროისთვის გაიმართებოდა სხდომა, რაც შესაძლებელია ნაკლები პროფესიული წინდახედულობის შედეგი ყოფილიყო, თუმცა აღნიშნულს ამძიმებს ის გარემოებაც, რომ ადვოკატი არც სხდომის არასწორ დროს გამოცხადებულა სასამართლოში, სადაც ლ. ს. ელოდებოდა.
- 6.16 კომისია განმარტავს, რომ ადვოკატის პროფესიული პასუხისმგებლობა ავალდებულებს გულისხმიერად მოეკიდოს საქმისწარმოებას, მით უფრო უნდა გააცნობიეროს ის გარემოება, თუ კლიენტისათვის მცდარი ინფორმაციის მიწოდება რა ზიანის მომტანი იქნება კლიენტის ინტერესებისთვის. ლ. ს.-ს ადვოკატის მოქმედების შედეგად მიაღწა ზიანი, საქმეზე გამოვიდა დაუსწრებელი გადაწყვეტილება და გაუქმდა მოპასუხეთა სახელზე რიცხულ ქონებაზე არსებული უზრუნველყოფის ღონისძიებები. ადვოკატი ადასტურებს, კლიენტისთვის ზემოაღნიშნული ზიანის მიყენების ფაქტს და განმარტავს, რომ საქმეზე გადახდილი ბაჟის თანხა (3000 ლარი) პირადად აუნაზღაურა ლ. ს.-ს, კერძოდ გადასცა მის შვილს შ. მ.-ს ხელზე, თუმცა აღნიშნული გარდა ადვოკატის განმარტებისა, არ დასტურდება რაიმე სახის მტკიცებულებით.
- 6.17 შედეგად, კოლეგიამ მიიჩნია, რომ ადვოკატის მიერ ამ ნაწილში დაირღვა კლიენტის კეთილსინდისიერად წარმოდგენისა და მისი ინფორმირების ვალდებულებები.
- 6.18 კოლეგია მიიჩნევს, რომ ადვოკატმა ლ. ს.-ის საქმესთან დაკავშირებული თანხა 1000 აშშ დოლარი, არ გამოიყენა საჩივრის ავტორის ინტერესების სასარგებლოდ მიზნობრივად, რის შედეგადაც, დარღვეული იქნება შემდეგი მუხლი:

ნებისმიერი ფულადი სახსრები ან ქონება, რომელსაც კლიენტი მიანდობს ადვოკატს უნდა ინახებოდეს დამოუკიდებლად ადვოკატის პირადი ფულადი სახსრების ან ქონებისაგან და იმართებოდეს კეთილსინდისიერად. ადვოკატი ვალდებულია კლიენტს მოთხოვნის საფუძველზე მიაწოდოს ანგარიშგება (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, მუხლი 8.13).

- 6.19 კომისიამ კლიენტის მიერ მინდობილი ქონების აღრიცხვისა და დამოუკიდებლად შენახვის ვალდებულება ფართოდ განმარტა და აღნიშნა, რომ „იგი მოიცავს მესამე პირის მიერ ადვოკატისათვის კლიენტისათვის გადასაცემი თანხის საკუთარი ფულადი სახსრების ან ქონებისაგან დამოუკიდებლად შენახვის, მისი კეთილსინდისიერად მართვის და კლიენტისთვის დაბრუნების ვალდებულებასაც“ (სააეკგ საქმე N054/11 პარ.7.11 21.10.2011).
- 6.20 დასტურდება რომ ამხანაგობა „ა.-ს“ ნ. გ.-ს მიმართ არსებული ფინანსური ვალდებულების ფარგლებში 2018 წლის 15 სექტემბრამდე 28 000 აშშ დოლარი უნდა მოხმარებოდა „დიდუბე 12“-ის წევრის ლ. ს.-ის საცხოვრებელი სახლის იპოთეკური სესხისგან განთავისუფლებას. კერძოდ, იპოთეკართან ანგარიშსწორების მიზნით, თანხა გადაეცემოდა ლ. ს.-ის ინტერესების დამცველს - ადვოკატ გ. მ.-ს. (იხ. ამხანაგობა „ა.-ის“ და ნ. გ.-ს შორის გაფორმებული წერილობითი შეთანხმება ---; იხ.პუნქტი 4.2.4).
- 6.21 გადახდის გრაფიკის მიხედვით, თანხის მიზნობრიობას წარმოადგენდა მოდავე მხარისგან ფინანსური ვალდებულების შესრულება. შესაბამისად, კომისია იზიარებს საპროცესო კოლეგიის განმარტებას იმის თაობაზე, რომ კლიენტის კუთვნილი თანხის ნ. გ.-ს ადვოკატისთვის გადაცემა, როგორც ამას ადვოკატი უთითებს, ვერ ჩაითვლება მინდობილი ქონების კეთილსინდისიერად მართვად და შენახვად.
- 6.22 კოლეგია მიჩნევს, რომ ადვოკატის დარღვეულია წარმომადგენლობის შეწყვეტისას კლიენტისათვის გამოუმუშავებელი ჰონორარის დაბრუნების ეთიკური ვალდებულება:
- კლიენტის ინტერესების დაცვის შეწყვეტისას ადვოკატმა კლიენტს უნდა დაუბრუნოს ფულადი სახსრები ... რომელიც კლიენტმა ადვოკატს გადასცა ან მიანდო წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელებისას ... კლიენტისთვის გადასაცემი თანხიდან ადვოკატს უფლება აქვს გამოქვითოს ურთიერთობის შეწყვეტამდე განხორციელებული მომსახურებისათვის მისაღები გასამრჯელო და გაწეული ხარჯი (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, მუხლი 8.15).
- 6.23 „ადვოკატის პროფესიული ქცევის აღნიშნული სტანდარტი ემსახურება კლიენტის ინტერესებს და ადვოკატის ავტორიტეტის დაცვას, გამომდინარეობს ადვოკატის ვალდებულებიდან იმოქმედოს კლიენტის ინტერესებით, თავისი ქცევით პატივისცემას იწვევდეს კლიენტში“ (საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 21 ნოემბრის გადაწყვეტილება, საქმე #დს-შ/17-16).
- 6.24 „ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის 8.15 მუხლი ავალდებულებს დაიცვას პროპორციულობის პრინციპი გაწეულ საადვოკატო მომსახურებასა და მიღებულ ჰონორარს შორის და დაუბრუნოს კლიენტს ის თანხა, რომელიც მას არ გამოუმუშავებია იმ მიზნისთვის, რისთვისაც კლიენტმა გადასცა“ (საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2018 წლის 12 სექტემბრის გადაწყვეტილება, საქმე #015/18).
- 6.25 „ადვოკატს შეუძლია თავად განსაზღვროს მიღებული ჰონორარის რა ოდენობა გამოიმუშავა სამართლიანად და რა ნაწილი უნდა დაუბრუნოს კლიენტს, თუმცა აღნიშნული გაანგარიშება უნდა იყოს ადვოკატის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სრული მომსახურებიდან

და ანაზღაურებიდან, ხელშეკრულების შეწყვეტამდე, მის მიერ შესრულებული სამუშაოს პროპორციული“ (ეთიკის კომისიის 2018 წლის 15 თებერვლის გადაწყვეტილება, საქმე #098/17). შესაბამისად, მოცემული მუხლის საფუძველზე, ადვოკატის ქმედების შეფასებისას მნიშვნელობა ენიჭება ადვოკატის მიერ პროპორციულობის დაცვას კლიენტისათვის დასაბრუნებელი გამოუმუშავებელი ჰონორარის ოდენობის განსაზღვრისას.

6.26 დგინდება, რომ საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულებით, ადვოკატის ვალდებულებას წარმოადგენდა როგორც სისხლის სამართლის მიმართულებით, აგრეთვე, სამოქალაქო მიმართულებით საადვოკატო მომსახურება, მათ შორის „მონაწილეობა სარჩელის ყველა ინსტანციის სასამართლო განხილვებში, მონაწილეობა სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებაში“.

6.27 მხარეთა შეთანხმებით, ადვოკატმა ჰონორარის სახით გასაწევი საადვოკატო მომსახურებისათვის მიიღო 2500 ლარი. საჩივრის ავტორი უთითებს, რომ სისხლის სამართლის მიმართულებით ადვოკატს არ გაუწევია საადვოკატო მომსახურება, თუმცა წარმოდგენილი მასალებით დადგინდა რომ ადვოკატმა განცხადებით მიმართა პროკურატურას ამასთან, ლ. ს. ადვოკატ გ. მ.-სთან ერთად გამოიკითხა (იხ. დიდუბე-ჩუღურეთის მთავარი სამმართველოს ეთიკის კომისიისადმი მიმართული წერილი ---). გარდა აღნიშნულისა, სისხლის სამართლის საქმეზე ადვოკატის მიერ საჩივრის ავტორის ინტერესების დაცვის მიზნით, სხვა განხორციელებული მოქმედებები არ დასტურდება. სამოქალაქო სამართლის მიმართულებით, ადვოკატმა შეადგინა სარჩელი საჩივრის ავტორის სახელით წარუდგინა სასამართლოს, თუმცა პირველ ინსტანციაში საქმის განხილვის ეტაპზე, ერთ-ერთ სხდომაზე მისი გამოუცხადებლობის შედეგად, როგორც ზემოთ აღინიშნა გამოვიდა დაუსწრებელი გადაწყვეტილება და აღნიშნულ ეტაპზე შეწყდა ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა. შედეგად, ადვოკატის მიერ მიღებული ჰონორარის პროპორციულად არ განხორციელებულა საადვოკატო მომსახურება და სახეზეა გამოუმუშავებელი ჰონორარის დაბრუნების ვალდებულება.

6.28 მოცემულ შემთხვევაში, ადვოკატის მიერ არ დადგინდა შემდეგი მუხლის დარღვევა:

„ადვოკატი ვალდებულია არ განახორციელოს ისეთი ქმედება და არ დაამყაროს ისეთი ურთიერთობა, რომელიც საფრთხეს შეუქმნის კლიენტის ინტერესებს, ადვოკატის პროფესიულ საქმიანობას ან დამოუკიდებლობას“ („ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 8.1).

6.29 კოლეგია იზიარებს საპროცესო კოლეგიის განმარტებას იმის თაობაზე, რომ საქმეთა ურთიერთდკავშირის დადგენისთვის მნიშვნელოვანია შინაარსობრივი ან საგნობრივი კავშირის ცნება, ასევე კავშირის დასადგენად მნიშვნელოვანია კონფიდენციალური ინფორმაციის გამოყენების ობიექტურ შესაძლებლობა ან კლიენტის ინტერესების უპირატესად დაცვის პრინციპის შესრულება: „ადვოკატი თავდაპირველად წარმოადგენდა კლიენტის ინტერესებს და მისთვის ცნობილი იყო მისი პოზიცია, არგუმენტები და მტკიცებულებები. შემდეგში, ადვოკატი წარმოადგენდა სხვა კლიენტს ყოფილი კლიენტის წინააღმდეგ სამოქალაქო სამართლებრივ დავაში, რომელიც შინაარსობრივად და საგნობრივად ურთიერთდაკავშირებული იყო. ადვოკატის მიერ განხორციელებული წარმომადგენლობა წარმოშობდა ობიექტურ საფრთხეს ყოფილი

კლიენტის წინააღმდეგ ადვოკატისათვის მიწოდებული ინფორმაციის კონფიდენციალობის დარღვევის თაობაზე ან რისკის ქვეშ დააყენებდა ადვოკატის მიერ არსებული კლიენტის დასაცავად ყველა კანონიერი საშუალების გამოყენების შესაძლებლობას“ (ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება, დისციპლინური საქმე N092/10 09.06.2011).

6.30 ადვოკატის მხრიდან რამდენიმე კლიენტის მომსახურების განხორციელება ასეთი კვლევის ჩატარების გარეშე, იწვევს უარყოფით შედეგს როგორც ადვოკატისთვის, ასევე მისი კლიენტებისთვის და შესაძლოა, მართლმსაჯულების პროცესისთვის, რადგან ადვოკატი იძულებული ხდება ჩამოშორდეს ყველა კლიენტის წარმომადგენლობას“ (ეთიკის კომისიის წერილობითი რეკომენდაცია 002/20 15.04.2020).

6.31 „ინტერესთა კონფლიქტი არის ადვოკატის დამოუკიდებლობის დაკარგვის კერძო შემთხვევა, როდესაც ხდება სხვადასხვა ინტერესების დაპირისპირება, რომელიც ხელს უშლის კლიენტის ერთგულად მომსახურებას, ან არსებობს სხვა არსებული ან ყოფილი კლიენტების მიმართ ვალდებულებების დარღვევის საფრთხე“ (ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება, საქმე N159/18, 29.10.2019).

6.32 „ზოგ შემთხვევაში, როდესაც კონფლიქტი დაკავშირებულია კონფიდენციალობის ხელყოფასთან ან ნდობის დარღვევასთან, დასაშვებია ინტერესთა კონფლიქტის გამორიცხვა კლიენტისგან ინფორმირებული თანხმობის მიღების შემდეგ, მაგრამ როდესაც სახეზეა მძაფრად დაპირისპირებული პოზიციები, როგორც აქვთ სასამართლო პროცესში დაპირისპირებულ მხარეებს, ამ შემთხვევაში, დაუშვებელია ადვოკატის მიერ ინფორმირებული თანხმობის მიღების შემთხვევაშიც კი თავისი ყოფილი კლიენტის საწინააღმდეგო წარმომადგენლობა. (ეთიკის კომისიის წერილობითი რეკომენდაცია 016/18 27.05.19).

6.33 დასტურდება, რომ ადვოკატმა გ. მ.-მ, როგორც ნ. გ.-ს წარმომადგენელმა თბილისის საქალაქო სასამართლოს მიმართა სარჩელით 2019 წლის 26 ივნისს ამხანაგობა „ა.-ის“ დამფუძნებელთა წინააღმდეგ, მათ შორის დ. ტ.-ის მიმართ. დავის საგანს წარმოადგენდა ვალდებულების შეუსრულებლობით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება. კომისიის შეფასებით, ლ. ს.-ის და ნ. გ.-ს საქმეები დავის საგნით არ იყო ერთმანეთთან კავშირში. განსახილველ შემთხვევაში, ვერ დგინდება კონკრეტული ზიანი, რაც ნ. გ.-ს სასარგებლოდ მოცემულ საქმეში ჩართვამ მიაყენა ზიანი საჩივრის ავტორის ინტერესებს, თუმცა კოლეგია მნიშვნელოვნად მიიჩნევს განმარტოს, რომ ადვოკატმა ყოველთვის უნდა ეცადოს თავიდან ისეთი ქმედების განხორციელება, რომელიც საფრთხეს შეუქმნის ნდობის პრინციპს.

6.34 კოლეგია აღნიშნავს, რომ “ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 34-ე მუხლი განსაზღვრავს დისციპლინური სახდელის სახეებსა და ზემოქმედების ღონისძიების ფორმებს, რომელიც შესაძლოა, ადვოკატს დაეკისროს დისციპლინური გადაცდომის ჩადენის შემთხვევაში. ეს სახდელებია გაფრთხილება, საადვოკატო საქმიანობის უფლების შეჩერება და საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრობის შეწყვეტა, ხოლო ზემოქმედების ღონისძიებას წარმოადგენს კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა, რომელიც არ არის სახდელი.

- 6.35 „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულების 2.5 მუხლის მიხედვით, ადვოკატისთვის დისციპლინური სახდელის დაკისრებისას გათვალისწინებული უნდა იქნას დისციპლინური გადაცდომის სიმძიმე და მიყენებული ზიანი. „მიყენებულ ზიანში“ უპირველესად მოიაზრება პროფესიისათვის მიყენებული ზიანი, ხოლო შემდეგ, კლიენტისათვის მიყენებული ზიანი. ამასთან, პასუხისმგებლობის ფორმის განსაზღვრისას ასევე გასათვალისწინებელია „ადვოკატის პიროვნება, მისი რეპუტაცია, ადვოკატის მიერ ადრე ჩადენილი გადაცდომები, რომლებიც არ არის გაქარწყლებული, ადვოკატის დამოკიდებულება ჩადენილი ქმედების მიმართ, არაეთიკური ქცევის თაობაზე ადვოკატის ადეკვატური აღქმა და სხვა გარემოებები, რომელიც მნიშვნელოვანია ეთიკის კოდექსის ძირითადი მიზნის მისაღწევად... ეთიკის კოდექსის მიზნებიდან გამომდინარე, საუბარია ადვოკატის პროფესიისათვის მიყენებული ზიანის განსაზღვრაზე. თუმცა ეს არ გამორიცხავს კლიენტისათვის მიყენებული ზიანის გათვალისწინების შესაძლებლობასაც“ (საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 31.05.2018 წლის გადაწყვეტილება, დისციპლინური საქმე N098/17).
- 6.36 „ადვოკატის დისციპლინირების მიზანი არის არა მისი დასჯა, არამედ ადვოკატის მიერ დისციპლინური გადაცდომის პრევენცია, საზოგადოების დაცვა ადვოკატის არაეთიკური ქცევისაგან და პროფესიული ღირებულებების დაცვა, რაც საბოლოო ჯამში ემსახურება საზოგადოებაში ადვოკატის პროფესიისადმი მაღალი ნდობის დამკვიდრებას“ (ეთიკის კომისიის 2018 წლის 31 მაისის გადაწყვეტილება, საქმე N098/17).
- 6.37 კოლეგია ითვალისწინებს ადვოკატის დამოკიდებულებას დარღვევისადმი. ადვოკატს სრულად არ გაუთვინცნობიერებია მის მიერ დარღვეული ყველა ეთიკური ვალდებულება, თუმცა ადვოკატმა მისი პოზიციით დაადასტურა, რომ საქმეზე დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანამ დააზიანა ლ. ს.-ის, როგორც მისი კლიენტის ინტერესების, რაც გარკვეულწილად მისი მოქმედების შედეგად მიადგა, თუმცა გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ მიუხედავად ადვოკატის მითითებისა, რომ მან საჩივრის ავტორს ზიანი აუნაზღაურა, კერძოდ მის შვილს გადასცა 3000 ლარი - არ დასტურდება. შედეგად, კოლეგია ითვალისწინებს დარღვევისას არსებული ზიანის ხარისხს.
- 6.38 კოლეგია შემამსუბუქებელ გარემოებად ითვალისწინებს, რომ გადაწყვეტილების გამოტანის დროს, ადვოკატს არ აქვს შეფარდებული სხვა დისციპლინური სახდელი და არ არსებობს დისციპლინური სახდელის უფრო მძიმე ფორმის განმსაზღვრელი რომელიმე ფაქტორი და შესაბამისად, ამ პირობებში, კოლეგიას მიაჩნია, რომ დისციპლინური სახდელის სახით გაფრთხილების გამოყენება იქნება ადვოკატის მიერ განხორციელებული ეთიკური ვალდებულების დარღვევის პროპორციული.
- 6.39 კოლეგია აღნიშნავს, რომ ადვოკატისათვის მხოლოდ დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიებით - კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა ქმედითი ვერ იქნება. აგრეთვე, კოლეგია სახდელის განსაზღვრისას ითვალისწინებს კომისიის პრაქტიკას მათ შორის, მსგავსად აღნიშნული საქმისა, კომისია დისციპლინურ საქმეში 011/18 10.01.2019 იმსჯელა მსგავს დარღვევებზე, მათ შორის ადვოკატის მიერ კეთილსინდისიერების პრინციპის, კლიენტის

ფულადი სახსრების დამოუკიდებლად და კეთილსინდისიერად მართვის, ინფორმირების, გამოუმუშავებელი ჰონორარის დაბრუნების ეთიკური ვალდებულებათა დარღვევებზე, გათვალისწინებულ იქნა კლიენტისათვის მიყენებული ზიანი და სახდელის სახით განისაზღვრა - გაფრთხილება. მოცემული დისციპლინური საქმიდან გამომდინარე კოლეგია მიიჩნევს, რომ გაფრთხილება შეიძლება იყოს ადვოკატის მიერ ჩადენილ გადაცდომასთან პროპორციული, რომლის მიზანია ადვოკატმა გააცნობიეროს და შეაფასოს მისი ქმედება და სამომავლოდ გაითვალისწინოს პროფესიული მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებული პრობლემების აღმოფხვრისა და დისციპლინური გადაცდომის ჩადენის თავიდან აცილების შემთხვევები.

6.40 ეთიკის კომისიამ იხელმძღვანელა პასუხისმგებლობის სამართლიანობისა და კანონიერების პრინციპით, შედეგად, კომისიამ დადგინა, რომ ადვოკატ გ. მ.-ის მიერ ჩადენილი დისციპლინური გადაცდომისათვის პროპორციულ და სამართლიან პასუხისმგებლობის ფორმას წარმოადგენს დისციპლინური სახდელი - გაფრთხილება.

III სარეზოლუციო ნაწილი

განხილვის კოლეგიამ იხელმძღვანელა „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 5(ა), 6.2 32.1, 34.1(ა), 35, 35¹, 36 მუხლებით, ეთიკის კოდექსის 8.2, 8.5,8.13, 8.15 მუხლებით. ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობის და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულების 4.6, 19, 20, 35, 40.2 მუხლებით და გადაწყვიტა:

1. დისციპლინურ საქმეზე N030/20 დადგინდეს ადვოკატ გ. მ.-ის /სიითი №/ მხრიდან დისციპლინური გადაცდომის ჩადენა.
2. ადვოკატ გ. მ.-ს /სიითი №/ დისციპლინური პასუხისმგებლობის ფორმად განესაზღვროს გაფრთხილება.
3. ეთიკის კომისიის გადაწყვეტილების ასლი ჩაბარდეთ მხარეებს.
4. ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს უზენაეს სასამართლოში, დასაბუთებული გადაწყვეტილების ასლის ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიაში საჩივრის წარდგენის გზით.

კოლეგიის თავმჯდომარე:

/თორნიკე ბაქრაძე/

კოლეგიის წევრი:

/მარიკა არევაძე/

კოლეგიის წევრი:

/ცისმარი ონიანი/